



**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი**



KA990181017260318

№02/36

15 / ივნისი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,



ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:






1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.


ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4)

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

დავით ლომიტაშვილი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ნასოფლარი აგურთა	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
2.		ნასოფლარი გირევი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
3.		ნასოფლარი დაქიურთა	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის, ლანდშაფტური არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
4.		ძველი დიკლო - ციხე-სოფელი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები

5.		ნასოფლარი ინდურთა	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
6.		სოფ. კვაკლო	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
7.		სოფ. ფარსმა	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
8.		ნასოფლარი წარო	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
9.		ნასოფლარი ჭონთიო	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები

10.		ნასოფლარი ჰელო	ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუშეთი	არქიტექტურის, ლანდშაფტური არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
-----	--	-------------------	--------------------------------------	--	--------------------------